ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3673525

ნომერი: AR1544491

თარიღი : 26.09.2017

გაცემის თარიღი : 10.11.2017

გაცნობის თარიღი : 10.11.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტრიკოტაჟი , N 3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ.ნინუა , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა ლებანიძე პ/ნ 01030045186
- თბილისი ო.კელაპტრიშვილის შეს. N 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 26 სექტემბრის AR1544491 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებაში ცვლილებას, გაცნობებთ, შემდეგს: თქვენს მიერ წარმოდგენილი თავდაპირველი დოკუმენტაციებით და მოთხოვნით საპროექტო ფუნქციური ზონას წარმოადგენდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6), რაზეც იმ დროისთვის იმსჯელა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ“ და მიეცა დადებითი შეფასება, დღევანდელი მდგომარეობით მოთხოვნის ტექსტში და განმარტებით ბარათში აფიქსირებთ რომ ტერიტორიის განვითარება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)-ით, ასევე ამავე ტექსტში დაფიქსირებულია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1(სსზ–1)-იც, ხოლო საპროექტო ფუნქციური ზონის სქემაზე მითითებულია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ–1), რაც იწვევს გაუგებრობას და ვერ ხდება საკითხის განხილვა, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორია განვითარდება საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1 (სსზ–ით), ჩნდება ახალი გარემოება და საჭირო იქნება საკითხის კვლავ ზონალურ საბჭოზე განხილვა;
ამასთან Y–ის მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს გრგ დავალებით დადგენილ ზონას, თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39)-ის მუხლი 31 მოთხოვნათა დაცვით; განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნული გამოითვლება ფორმულით ; შენობების სიმაღლე არ უნდა აჭარბებდეს საპროექტო ფუნქციური ზონისთვის, განსაზღვრულ მაქსიმალურ ნიშნულს, სიმაღლის დადგენის გეგმაზე ყველა შენობნისთვის უნდა დაფიქსირდეს L-ის მაქსიმალური საანგარიშო მნიშვნელობა;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.